სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/389

ქ. თბილისი

10 დეკემბერი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 23-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 და მე-15 მუხლებისა და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-18 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის №01-05-02/27 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს არჩევნები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად;

2. არჩევნების შესახებ განცხადება პრესაში გამოქვეყნდეს 2019 წლის 13 დეკემბერს;

3. №1 დანართის შესაბამისად დამტკიცდეს განცხადება ბეჭდვითი მედიის ორგანოში გამოსაქვეყნებლად;

4. არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 23 დეკემბერს და დასრულდეს 2019 წლის 30 დეკემბერს;

5. პრეტენდენტთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2020 წლის 06 იანვარს;

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები აკადემიურ საბჭოში ჩატარდეს 2020 წლის 08 იანვარს;

7. აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული კანდიდატურა კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;

8. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა)აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) აქვს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

გ) არის 65 წელზე ნაკლები ასაკის.

9.პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი) ასლი;

გ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) სამოქმედო გეგმა;

ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

თ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ი) 2 ფოტოსურათი,ზომით 3X4-ზე.

10. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**